**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. | |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, | |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, | |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, | |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, | |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, | |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, | |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, | |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, | |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, | |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, | |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, | |

# ივერია

№ 112 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 112

**წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


**ელენე ნიკოლოზის ასული, თამარა გაბრიელის ასული ელიოსისძენი და კნეინა ნატალია ნიკოლოზის ასული ჯანდიერისა** გულითადის მწუხარებით აცხადებენ გარდაცვალებას პირველი შვილისას, მეორე ძმისას და მესამე დისწულისას.

## ნიკოლოზ გაბრიელის ძის ელიოსიძისას.

პანაშვიდები 12 მაისს დილით 12 და საღამოს 7 საათზედ. მიცვალებულს წირვას მოასმენინებენ ქვაშვეთის ეკლესიაში. გამოსვენება 13 მაისს დილის ათ საათზედ. სახლი მიხეილის პროსპექტზედ № 158, ეზოში. (2—157—2)

---

Feriencolonien. Colonie des vacances.

„პატარა-ცემი“-ს

## საზაფხულო სამყოფი

### ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

## მოზარდ ქალ-ვაჟთათვის

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთა-ადგილზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის, 1300 მეტრის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება დასვენება, მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი ვარჯიშობა წყლით ექიმობა და სხ.

არ მიიღება მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთაადგილს ყოფნა არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანად არის დანიშნული **ორი თვე:** 15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებით ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოოზ ზაის ქ. № 46. (15—11)

---

## ახალი წიგნი

### ს. ს. მელიქ-ადამოვი

არამ აფიცი ვექილი

## პრაქტიკული სახელმძღვანელო

სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ქაღალდების შესადგენად ამიერ-კავკასიაში,

## ПРАКТИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО

**для составленія бумагъ по дѣламъ Гражданскаго Судопроизводства въ ЗАКАВКАЗСКОМЪ КРАѢ.**

**ფასი 1 მან.**

ისყიდება ტფილისში: წიგნების ცენტრალურ სავაჭროში და ხიდიკელის და გუტენბერგის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს 10 ეგზემპლიარზედ მეტს 10 % დაეთმობათ და გასაგზავნ ფასსაც არ გადაიხდიან.

---

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალაჩი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.**

---

**«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების»** გამგეობა ამით აცხადებს, რომ

შაბათს, 15 მაისს, საღამოს 7 საათსედ,

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური

## საზოგადო კრება

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1903 წლის მოქმედებისა,
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა წლიურ ანგარიშის შესახებ,
3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავალისა 1904 წლისათვის,
4) შემოწირულება,
5) სხვა-და-სხვა მოხსენება,
6) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა, გამგეობის წევრთა, სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატებისა,
7) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (11—უ—8).

---

**მთავრობის მიერ დაარსებული ქუთაისის ქალთა პროგიმნაზია.**

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენიები პროგიმნაზიის ახლად გახსნილ 2 კლასში დაიწყება 18 მაისიდგან, მოსამზადებელ და პირველ კლასებში 21 მაისიდგან. დაწვრილებით ცნობები ეგზამენების შესახებ შეუძლიანთ მსურველთ შეიტყონ პროგიმნაზიაში, მესხეთის ქუჩაზედ, ტყეშელაშვილის სახლებში. (3—6—3).

---

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვლის (3—3)

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

## ქაჯანა

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-ადდებითაც შემდეგის ადრესით: Тифлись Общество распрстр. грамотности.

---

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 16° 83 ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».
ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

---

## იძლევა ქირით

1 მაისიდგან ამა წლისა სათავად-აზნაურო სახლებში, სასახლის ქუჩაზედ მაღაზიები №№ 21 და 97, რომლებიც ამ ჟამად უჭირავთ მინასოვებს. ყოველ ცნობების გაგება შეიძლება იმავე შენობაში მამულების საქმეების მმართველ კანტორაში. (10—6—10)

---

## კერძო სამკურნალო

### ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. ი. ბალაჯარაშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ზრ. ვ. სოზოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა, 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჴხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთანდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** ელისაბედის ქუჩა, № 41.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

---

## პირველი კერძო სამკურნალო

### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. აპეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**ზ. ს.ე ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

---

## ომის ამბები

### დეპეშები და წერილები.

ფლოტი პორტ-არტურისა და იაპონელებისა.—ფინ-ხუან-ჩენის გამაგრება.—ჩინეთის ნეიტრალიტეტი.—გენერალ კუროპატკ ნის ლაშქარი.—რამდენად ადვილია პორტ-არტურის აღება.—იაპონელების გაქრისტიანება.—წვრილი ცნობები.

თუმცა იაპონიის ფლოტს ორი საუკეთესო სამხედრო გემი მოაკლდა, მაგრამ პორტ-არტურის ფლოტი მაინც იაპონელებისაზე სუსტია. ადმირალ ბეზობრაზოვს ამ ჟამად გაწყობილი აქვს 3 საესკადრო ჯავშნიანი გემი და 7 ჯავშნიანი კრეისერი, სულ 7 გემი პირველ ხარისხისა. «ცესარევიჩი», «რეტვიზანი» და «პობედა» რომ შეაკეთონ, მაშინ 10 პირველის ხარისხის გემი იქმნება. იაპონელებს კი აქვთ 5 დიდი და ორი მომცრო საესკადრო ჯავშნიანი გემი და 6 ჯავშნიანი კრეისერი, სულ 13 პირველ ხარისხის გემი. ამას გარდა სხვა კრეისერებიცა აქვთ და ზოგიც მალე დამზადდება, ასე რომ ოცამდე კრეისერი ექმნებათ (რ. ვ.)

—

იაპონელები ფინ-ხუან-ჩენს ამაგრებენ და, ეტყობა, ჰფიქრობენ თავისი ჯარი ამ ადგილს მკვიდრად დააბინავონ.—აქედგან ჯარის გაგზავნა ყველა მხარეს ადვილად შეიძლება და, თუ საჭიროება მოითხოვს, უკან დაწევისათვისაც გამოადგებათ. ეს შუაგული იქმნება იაპონელების ლაშქრისა, საიდგანაც მოწინავე რაზმებს, თუ განსაცდელი მოელის, მალე მიეშველებიან (ნოვოსტი).

—

გერმანია ძალიან თავგამოდებულია, რომ ჩინეთმა ნეიტრალიტეტი არ დაარღვიოს, და ამით თითქო რუსეთს ავალებს და სამსახურს უწევს. თურმე გერმანელებს სხვა განზრახვა ჰქონიათ. ერთმა გერმანელმა დიპლომატმა შემდეგი აზრი წარმოსთქვა:

ნეიტრალიტეტი თვით ჩინეთისათვის უფრო საჭიროა. ჩინელები რომ აჯანყდნენ, ევროპიელებს გამოსდევნიან და იმათ ახალშენებს აიკლებენ. ამის გამო ევროპიელები მოინდომებენ ხალხის დაწყნარებას და თავის ჯარს ჩინეთს დაახვევენ. რუსეთისათვის-კი ჩინელების ნეიტრალიტეტი არაფერს შეადგენს. რას უნდა გახდეს გენერალი მა თავის ორმოცათას ჯარის კაცით? პირველ ხანს თუ რუსეთს ავნო რამე, შემდეგ რუსეთი მიუბრუნდება და იაპონელებთან ერთათ მილეწავს... მე მგონია, რომ ევროპიელებს ისე თავის სარგებლობისათვის არ უნდოდათ ჩინეთის ნეიტრალიტეტი, როგორც იმისთვის, რომ რუსეთისთვის ევნოთ. წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთმა იაპონია დაამარცხა. იაპონელებს რას წაართმევ? გამარჯვებულმა რუსეთმა რომ მანჯურიის დასაკუთრება მოინდომოს, სახელმწიფოები გადაელობებიან და ეტყვიან: მოითმინეთ, ბატონო რუსებო! თქვენ ხომ ომის დაწყებამდე ოფიციალურად აღიარეთ, მანჯურია ჩინეთისააო და ჩვენ გავეთრევითო. მაშ რა საბუთით გინდათ დაისაკუთროთ მანჯურია, თქვენისავე დაპირების წინააღმდეგ?.. ომის უფლებით? თქვენ ხომ იაპონიას ეომებოდით და არა ჩინეთს?.. სახელმწიფოები სწორედ ესე იტყვიან და მარნჯურიას არ დაანებებენ რუსებს. ეხლა ხომ მიხვდით, უცხო სახელმწიფოები რად შესჩენიან ჩინეთს, ნეიტრალიტეტი მტკი-

ცედ დაიჭირეთ?... ევროპასა და ამერიკას იმიტომ უნდა ნეიტრალიტეტი, რომ რუსეთმა ამ ომით სრულიად ვერა შეიძინოს-რა... რუსეთის დიპლომატიამ უნდა მოახერხოს, რომ ან ეხლავე ან, როცა ომი თავდებოდეს, ჩინეთს ნეიტრალიტეტი დაარღვევინოს... მაშინ მიზეზი ექმნება მანჯურია სამუდამოდ ჩამოაცალოს... (ნ. ვ.).

—

ინგლისელები ვერ მიმხვდარან, რას აპირობს გენერალი კურაპატკინი, როდესაც იაპონიის ჯარი თან-და-თან უახლოვდება ამის გამოცნობა შეუძლებელია, რადგან არ ვიცით, რამდენი ჯარის კაცი ჰყავს გენერალ-კურაპატკინს და რა ძალა შეაგროვა ამ სამს თვეშიო. იაპონელებს რომ დაუხვდეს და შეებრძოლოს, გენერალ კუროპატკინს 150,000 მეომარი მაინც უნდა ჰყავდეს და ომი უთოდ მუკდენთან უნდა მიიღოსო. თუ მოსალოდნელია, რომ მტერნი მალე შეიყრებიან, მაშინ სასურველია, რომ დიდძალმა ჯარმა მოიყაროს თავი ერთს ადგილს. ამ შემთხვევაში ჯარის დანაწილებასა და გაფიცვას ცუდი შედეგი ექმნება. მაგრამ არც ის შეიძლება, რომ ჯარი დიდ ხანს იყოს თავმოყრილი, რადგან სურსათის შოვნა ძნელიაო. როდესაც ლაშქარი ერთს ადგილს დაბანაკდება, სურსათის ძებნა ახლო-მახლო შეუძლებელი ლაა და დიდი საწყობები უნდა იყოს წინადვე დამზადებული. გადაყვან-გადმოყვანა ლაშქრისა მოსახერხებელი არ არის, რადგან თოფ-იარაღი და სურსათიც თან უნდა მიჰქონდეს. ამას კი დიდი დრო უნდა და მრავალი ეტლი. ამისათვის სამხედრო კაცები იმ აზრს ადგანან, რომ რაკი მოპირდაპირეთა ლაშქრები პირის-პირ შეიყრებიან, როგორც ამ ჟამად რუსეთ-იაპონიის ლაშქრები არიან, აუცილებლად მედგარი ომი უნდა მოხდეს და ომის გადადება ან სხვა ველზედ გადატანა შეუძლებელიაო. თუ რომ გენერალმა კუროპატკინმა ეხლავე არ გადაინაცვლა თავისი ჯარით და სურსათის გადაზიდვა არ დააწყობინა, ეტყობა, მტრის დახვედრა განიძრახაო. (პ. ვ.).

—

სინჯოუსთან რომ შეტაკება ჰქონდათ იაპონელებსა და რუსის ყაზახთა რაზმს, გენერალ მიშჩენკოს უფროსობით, იაპონელები უფრო აფიცრებს უმიზნებდნენ თოფს და კარგაც ისროდნენ. იმ ადგილს, სადაც გენერალი იყო თავის შტაბით, ტყვია სეტყვასავით მოდიოდა. ერთი ტყვია გენერალს პაგონში მოხვდა და ვარსკვლავი ააგლიჯა, მეორე-ხმალში, მესამე პალტოს კალთაში და ორმოც სხვა ადგილს გაუხვრიტა ტანთსაცმელი, ხოლო გენერალს არა ავნო-რა. (პ. ვ.).

—

შესაძლოა პორტ-არტურის აღება თუ არა? ამის შესახებ «ნაციონ. ცეიტ.» სწერს:

როდესაც ომი დაიწყო, პორტ-არტური ვერ იყო კარგა გამაგრებული. შემდეგ-კი რუსებს საკმაო დრო ჰქონდათ ციხე-სიმაგრე რიგზე მოეწყოთ. რამდენსამე კვირას მრავალი კაცი დღე და ღამე მუშაობდა, კედლები ამოჰყავდა, ზარბაზნები აჰქონდა, თხრილებს იღებდა, მავთულს არტყამდა გარშემო, ბაღჩებს აკეთებდა და სხვა საქმეს ასრულებდა. ჩინელ მუშებს ორჯერ და სამჯერ მეტი შრომის ფასი ეძლეოდა, ვიდრე წინედ...

ეხლა პორტ-არტური შემოჯაჭვულია მრავალ სიმაგრეებით ძინ-ჯოუმდე, ე. ი. კფინტუნის ყელამდე. ძინ-ჯოვუც, რომ დაიჭირონ იაპონელებმა, შემდეგ რამდენიმე სიმაგრე კიდევ დარჩებათ ასაღები, ვიდრე პორტ-არტურს ჩავიდოდენ. შესაძლოა, დალნი უბრძოლოდ დაუთმონ რუსებმა, მაგრამ პორტ-არტურის აღებას კი რამდენიმე თვე დასჭირდება. სურსათი ციხის ჯარს ერთს წელიწადსაც ეყოფა. (ნ. ვ.).

—

ინგლისელ კორესპონდენტის ცნობებით, პორტ-არტურთან გადასულა 25,000 იაპონელი. ეს გარემოება სრულიადაც არ აწუხებს პორტ-არტურის ჯარს, რომელიც მხნედ მოელის მტერს. ნავსადგურის შესასვლელი სრულიად თავისუფალია და სამხედრო გემებს დაუბრკოლებლივ შეუძლიანთ გამოსვლაო. (პ. ვ.).

—

გაზეთ «ჟურნალის» პეტერბურგელი კორესპონდენტი ატყობინებს, ვითომც იმ მატარებელში, რომელიც პოდპოლკოვნიკმა სფირიდონოვმა პორტ-არტურისკენ გაატარა, როდესაც იაპონელები რკინის გზის ლიანდაგთან იყვნენ, წყალში მავალი ნივები იყო დამლილიო. (რ. ვ.).

—

იაპონიის მიკადოს განუზრახავს თავისი სახელმწიფო გააქრისტიანოს და ინგლისელთა სარწმუნოება შემოიღოს, ხოლო ბუდდის სარწმუნოებასაც შეუთანხმოს.

ამ საყურადღებო ამბის გამო ლონდონელი კორესპონდენტი იწერება: «განზრახვა სწორედ კარგია. ამით იაპონია ინგლის—საქსების თანაგრძნობას დაიმსახურებს, ხოლო ნამდვილნი ღვთის-მოსავნი ვერ მოიწონებენ, რომ სარწმუნებას უტილიტარიზმი გ[illegible]». რადგან ნამდვილი ღვთის-მოსავი ბევრი არ არიან წარჩინებულთა შორის, იაპონიის ახალი ნაბიჯი მართალია თანაგრძნობას გამოიწვევს არა მარტო ინგლის—საკსებში, არამედ სხვა ერთა შორისაც, ამბობს «ნოვ. ვრემია». იაპონიაში დღესაც არიან ქრისტიანები და მათ შორის მართლ-მადიდებელნიც. რაკი მთლად ერი ქრისტეანობას მიიღებს, იაპონია უფრო დაუახლოვდება ევროპის ცივილიზაციას. როგორც საკონსტიტუციო სახელმწიფო, იაპონია მარად სცდილობდა ევროპის სახელმწიფოებს დასწეოდა და აზიის ნაცვლად ევროპის სახელმწიფოებში ჩარიცხულიყო. რაკი ქრისტიანობა დამყარდება, იაპონია მართლა ევროპის სახელმწიფოდ გადიქცევა. რუსეთმა უნდა ინუგეშოს, რომ თავის მახვილით იაპონია გააქრისტიანა-..

იაპონიას ჩინეთიც მიჰყვება და, ვინ იცის, იქნება ასის წლის განმავლობაში მთელმა აზიამ მიატოვოს თავისი სარწმუნოება, ქრისტიანებს დაუახლოვდეს და შეიცვალოს ზნე-ხასიათი და ჩვეულება. რაც ქრისტიანთა მისიონერებმა ვერ მოახერხეს, შესაძლოა უტილიტარულმა იაპონიამ შეასრულოს.

საოცარი ამბები ხდება. ამ დღეებში ვამბობდი,—სწერს ა. სუვორინი,—რომ ჩვენ იაპონიას არ ვიცნობდით. არ იცნობდნენ არც ჩვენი დიპლომატები, არც სამხედრო ჩვენი კაცები და არც ჩვენი ფინანსისტები. იაპონია კი ჩვენ ძალიან კარგად გვიცნობდა. ჩვენ მოუმზადებლად გავებით ომში, რაც ჩვენმა მთავრობამაც აღიარა. ამის შესახებ საფრანგეთის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემაც ხომ წარმოსთქვა: «მეფე, რომელმაც გააგის კონფერენცია დააარსა, იმდონად მშვიდობიანია და მშვიდობიანობის მოსურნე, რომ მისს ხელქვეითებს დაავიწყდათ მომზადებულიყვნენ საომრად». იმათ კი არ დაავიწყდათ, არამედ სჯეროდათ, რომ ომი არ მოხდებაო. იაპონელები კი სრულიად მომზადებულნი იყვნენ, ყოველივე ზედმიწევნით ჰქონდათ მოსაზრებული და გამოანგარიშებული, რასაც გერმანელთა სახელ განთქმული შტაბიც-კი ვერ ახერხებდა. სკობოლევმა მითხრა ბერლინში ერთ აღლუმის შემდეგ: «გერმანელები ისე უმეტნაკლებოდ ასრულებენ ბრძანებას, რომ საოცარია. მაგრამ ეს არაფერია. თუ რომ მათთან ომი მოგვიხდა, ჩვენ სულ ავრევთ ჩვენის უწეს-რიგობით». ეს წარმოსთქვა ოხუნჯობის ღიმილით, მაგრამ ეტყობოდა, რომ წრფელის გულით ამბობდა.

........

# ტფილისი

—

⁂ გუშინ წინ, 11 მაისს, საღამოთი დაბრუნდა ტფილისში მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი ალექსი, თან ჩამოჰყვა სამრევლო სკოლების ზედამხედველი დეკანოზი ი. ვოსტორგოვი.

⁂ «ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოებას» 25 წლის იუბილეი მოულოცა გუშინ პეტერბურგის ქართველმა სტუდენტობამ.

⁂ წელს, როგორც მკითხველთ უწყიან, 25 წელიწადი შესრულდა, რაც დაარსებულ იქმნა „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება". ამ დიადის მოვლენის აღსანიშნავად საზოგადოებამ, სხვათა შორის, გამოსცა პატარა წიგნაკი, ღირებული ერთ აბაზად. წიგნაკში მოთავსებულია სურათები ქართველთა მწერლებისა. სამწუხაროდ, წიგნში, რადაც მიზეზისა გამო, გამოკლებულია სურათნი ბევრის ჩვენის მწერლისა. არ არის მაგალითად: დ. კლდიაშვილი, ნ. ლომოური, ივ. მაჩაბელი, შ. არაგვისპირელი, ბაჩანა, ცახელი, დუტუ მეგრელი, ია ეკალაძე, განდეგილი, პლატონ იოსელიანი, და სხვ.. ნეტა ამ მწერლებმა რა დააშავეს, რომ მათი სურათები არ მოხვდნენ წიგნაკში?.. ამ მწერლებს მწერლებად არ სთვლიან, თუ მათი გამოტოვება უბრალო დაუდევრობაა? ჩვენთა მწერალთათვის შეურაცხყოფის მიყენებით იუბილეის აღნიშვნა, მგონი, კარგი არ უნდა იყოს.

⁂ დღეს, 13 მაისს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში კრება ექმნებათ ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა რწმუნებულთ.

⁂ დღეისთვის ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრებაა დანიშნული.

⁂ ტფილისის სახაზინო თეატრში გამართულ იქმნება დრამატიულ-მუსიკალური საღამო, რომლის მთელი შემოსავალი გადაიდება ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოების სასარგებლოდ. ამ საღამოს მონაწილეობას, სცენის მოყვარულთა გარდა, არტისტი რასატოვი იღებს.

⁂ როგორც მკითხველთ უწყიან, ტფილისის საკომერციო ბანკმა 7 ათასი მანეთი გადასდო რუსეთის სამხედრო საჭიროებისათვის. 5 ათასი მანეთი ბანკის თავმჯდომარემ უკვე გადასცა დანიშნულებისამებრ.

⁂ ინჟენერი მეტცი, რომელმაც წალკის წყაროებიდან წყალი უნდა ჩამოიყვანოს ტფილისში, სწერს ქალაქის გამგეობას, მიუნჰენიდან ტფილისში 21 მაისს ჩამოვალო.

⁂ ხმოსანმა გრიქუროვმა წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის გამგეობას, აირჩიე საგანგებო კომისია და მიანდე იმ ინსტრუქციის გეგმის შედგენა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ქალაქის უბნების არქიტექტორებმაო. ქალაქის გამგეობამ ეს აზრი მოიწონა და დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას ქალაქის საბჭოს წინაშე ამ აზრის განხორციელების შესახებ.

⁂ ამას წინად ტფილისის ვაჭართა საზოგადოებამ ტფილისის სავაჭრო სკოლის ინსპექტორად მ. დ. ელჩიუკოვი აირჩია. ბ-მა ელჩიუკოვმა უარი სთქვა ამ თანამდებობაზედ.

⁂ ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოებას განუზრახავს, სამაგალითო სამჭედლო მოაწყოს. აზრად აქვს ნამეტნავად კარგად მოაწყოს ცხენის დაჭედვის საქმე. საზოგადოება დრო-გამოშვებით ლექციებსაც გამართავს ცხენებისა და, საზოგადოთ, პირუტყვთა მოვლის შესახებ.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სესია 18 მაისს თელავს წავა, სადაც 24 მაისამდე დარჩება.

⁂ 2-დან 8 თიბათვემდე ესევე სესია ახალ-ქალაქში გაარჩევს სამოქალაქო საქმეებს.

⁂ ტფილისის ქალაქის ლომბარდში გაუქმებულ იქმნა კასირის თანამდებობა: კასირისა და ლომბარდის გამგის თანამდებობას ერთი კაცი ასრულებს. ლომბარდის გამგემ აუწყა ქალაქის გამგეობას, რადგან მოცალეობა არა მაქვს, ამიტომ ვეღარ წავალ სრულიად რუსეთის ლომბარდების გამგეთა კრებაზედ, რომელიც მოკლე ხანში იქმნება პეტერბურგშიო.

⁂ დღეს, 13 მაისს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის ქალაქის გამგეობას კრება ექმნება რამდენისამე საყურადღებო საგნის განსახილველად.

⁂ ჩვენ გავიგეთ, რომ ქართულ სცენის ნიჭიერი მსახიობი და ქართველი საზოგადოების საყვარელი არტისტი ვასო აბაშიძე რევმატიზმით ავად გამხდარა და ექიმებს ურჩევიათ საზღვარ გარედ წასვლა სამკურნალოდ. რადგან ჩვენი მსახიობი ნივთიერად ხელმოკლეა, ამიტომ ზოგიერთ სცენის მოყვარულთ განუზრახავთ ამ მოკლე ხანში წარმოდგენის გამართვა მსახიობის სასარგებლოდ. იმედია, ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით მოეკიდება განზრახულ სპექტაკლს და ამნაირად მისცემს შეძლებას ჩვენს «ვასოს» საზღვარ გარედ განსაკურნებლად წასვლისათვის.

### ჰარნაკის აზრი ქართულ ლიტერატურულ საუნჯეზედ.

ბერლინის უნივერსიტეტის რექტორს ცნობილ მეცნიერს ჰარნაკის მიუწერია პასტორის გ. გ. ბერმანისთვის, რომელიც ეხლა «ცარსკოე სელოში» ემსახურება, შემდეგი თავისი აზრი შესახებ ქართულ ისტორიულ წყაროებისა: «ქართულ ხელ-ნაწერ წყაროებს, რამდენათაც ეს ამ უკანასკნელ დროში გამოირკვა, ისეთივე დიდი მნიშვნელობა ეძლევა მეცნიერებაში, როგორიც ძველ სირიულ ლიტერატურულ ნაშთებს აქვთ მინიჭებული, ამიტომ ამიერიდგან განსაკუთრებული ყურადღება მექცევა ქართველთ კულტურის შესწავლას, მათს ენას და ჩვენამდის მოღწეულს ქართველთა ძვირფას ლიტერატურულ საუნჯეს».

სამწუხაროდ აქამომდე მცირე ნაწილი ჩვენის ლიტერატურულ წყაროებისა არის დაბეჭდილი; როდესაც ყველა ჩვენი ხელთ-ნაწერები დაიბეჭდება, მაშინ მეცნიერნი განცვიფრდებიან ჩვენის წარსულის სიდიადით. რაკი ამისთანა აზრი დატრიალდა მეცნიერთა შორის, დარწმუნებულები უნდა ვიყოთ, რომ ბედი ჩვენც გაგვიღიმებს და ახლო მომავალში დასავლეთის ევროპიულ სატახტო ქალაქებში დაარსდება ქართულის ენის კათედრები. საჭიროა ჩვენმა საზოგადოებამაც თავის მხრით ხელი შეუწყოს ამ დიდი საქმის დაგვირგვინებას.

სასოებაძე.

## ჩვენებური ამბები

—

**ჭიათურა.** აპრილი ისე გავიდა, რომ ორი დღე ერთად არ გვინახავს მზიანი და წყნარი დარი. მარტი ხომ მოსაგონებლადაც აღარ ღირს და აპრილშიაც მარტისებურად ხან წვიმდა, ხან თოვდა და მასთან ცი[illegible]ღმოსავლეთის ქარიც არ გვაძლევდა [illegible]ოსვენებას. ასეთი არა სასია-

# ფელეტონი

—

### თ-დ ალ. სუმბათაშვილის პიესა «ღალატი».

(დასასრული *).

ავტორმა რომ გადამეტებით დააქვეითა ირაკლი, ამას სხვა მხრივაც დავინახავთ.

ირაკლის შეუყვარდა რუქაია, როგორც ავტორი გვამცნევს, ირაკლის პირით. აქ თითქმის დასაყვედრებელი და დასაგმობი არა რაა, არც თუ გასაკვირველი, მინემ ირაკლი მოისმენდა რუქაიას აღსარებას. მაგრამ ამ აღსარების შემდეგ რომ შერჩა სიყვარული, აი, ეს არის გასაკვირველი და დაუჯერებელი. იცით, მკითხველო, ვინ შეუყვარდა ამ ნორჩს არსებას, ჯერეთ უმწიკვლოს, მთებში აღზრდილ ირაკლის? სოლემანის არამხანის ქალი და სიყვარული ამ მეომარს შერჩა მაშინაც კი რუქაიას სიტყვები რომ მოისმინა: «ჩვენ რომ სოლეიმანს ღალატს შევატყობინებთ, ზეინაბს მოჰკლავს, მე დედოფალი გავხდები, შენ აღგამაღლებ და შენ ჩემი საყვარელი შეიქნები», ეუბნება რუქაია. მართლა რომ ძილიან სულით მდაბალი უნდა იყოს კაცი, რომ ასეთს წინადადებაზედ დასთანხმდეს! ახალგაზდა მეომარი ღალატობს დაცემულ ქალის გულისთვის თავის ქვეყანას, მოძმეებს და სთანხმდება იმ წინადადებაზედ, რომ მისი საყვარელი არსება სხვის მეუღლე გახდეს, თვითონ მისი საყვარელი, რომელსაც კუროს უწოდებენ, შეიქნეს და ამით დიდება და ალმატება მოიხვეჭოს!

ირაკლის ამ საქციელს თუ ფსიხოლოგიურად შევხედავთ, უფრო უკეთ დავინახავთ მის სიყალბეს, დაუჯერებლობას და დავრწმუნდებით, რომ ირაკლი მხოლოდ იმიტომ დასთანხმდა რუქაიას წინადადებას, რომ ასე სურდა თ. სუმბათაშვილს!

ფსიხოლოგია გვასწავლის: სიყვარული ეგოისტია; უმთავრესი მისი თვისებანი და მოთხოვნილებანი არიან, რომ შეყვარებულს სურს საყვარელი არსება მხოლოდ ერთად ერთს მას, შეყვარებულს, ეკუთვნოდეს, სიყვარულს საზიარო არა სწამს რა, შეყვარებულს სურს საყვარელი არსება მუდამ მასთან იყოს, მისგან თანაგრძნობას იღებდეს. თ. სუმბათაშვილის ირაკლი კი სხვა კანონებს ემორჩილება. იგი ადვილად დაემორჩილა (დაემორჩილა ვამბობ, იმიტომ რომ რუქაიას მხარეს გადავიდა) რუქაიას, რომ იგი სოლეიმანის მეუღლე გახდება, მაშასადამე სხვას დაესაკუთრება. მისი ნახვა, როგორც დედოფლისა, მუდამ არ შეეძლება, არამედ ფარულად, ქურდულად! ასეთი საქციელი ირაკლისა ანორმალურად უნდა ჩაითვალოს. ნამდვილად შეყვარებული ასე არ უნდა მოქცეულიყო და, თუ მოიქცა, ზნეობრივი დაქვეითება გამოიჩინა და თვით გრძნობა სიყვარული შელახა.

ფუქსავატათ და მოულოდნელ მუხანათად ჰყავს ავტორს ირაკლი გამოყვანილი, როგორც მეომარი. ირაკლიმ დაუჯერა რუქაიას ზღაპრებს, ვითომც იგი ბუშია, ზეინაბს და ოთარს უნდათ მით ისარგებლონ და საქართველოში გამეფდნენ. რა საბუთი ჰქონდა ირაკლის თავის აღმზრდელის ანანიას და დედოფალ ზეინაბის სიტყვები არ დაეჯერებინა და რუქაიასი კი? დიახ, ვსთქვათ ყველაფერი სინამდვილეთ სჩვენებოდა ირაკლის. მაშინაც არ უნდა გადადგომოდა თავის სამშობლოს.

ირაკლი ერთად ეროის აზრით ჩამოვიდა, როგორც უბრალო მეომარი, მთებიდგან. მას სურდა სამშობლოს განთავისუფლება. როგორც პიესიდგან სჩანს, ირაკლის ფიქრადაც არ მოსვლია, რომ იგი ბატონიშვილია. თავის მემკვიდრეობა საქართველოს ტახტისა შემდეგ გაიგო. მაშასადამე, თავის თავად საქმის ვითარება, თუგინდ ის ნაბიჭვარი ყოფილიყო და არა ბატონიშვილი, რომ მის ბატონიშვილად გამოცხადებით ზეინაბს ოთარითურთ სურდათ გამეფება, სამშობლოს მტარვალობიდგან დახსნა, არ იცვლებოდა. ირაკლი, ბატონიშვილი იქნებოდა, თუ ნაბიჭვარი, მეომრად მაინც რჩებოდა, რომელიც მოწოდებული იყო სამშობლოს გასანთავისუფლებლად. ამისათვის რუქაიას მხარე არ უნდა დაეჭირა და ღალატი არ უნდა ეკისრა, რადგან ოთარბეგის და ზეინაბის ხელის შეშლა ირაკლისავე განზრახვის—სამშობლოს განთავისუფლების ჩაფუშვა იქნებოდა. ამისათვის სამართლიანათ დაიმსახურა ირაკლიმ თავის დედის ზეინაბის სიტყვები: «დიახ, შენ ჩემი შვილი არა ხარ, არა!"

ზეინაბი. მეფე სოლეიმან, რა შავ-ქვად მინდა ახლა ხსნა? ხომ ხედავ, ვინც გამყიდა... რაღა საჭიროა ხსნა?! (ერეკლეს მიმართავს ნელის ხმით და გამოუთქმელის მწუხარებით). დიაღ, შენ ჩემი შვილი არა ხარ, არა! მე მინდოდა დამეღუპე... კარგი, მაგრამ შენი სამშობლო?.. შენი ძმები?.. ჯვარი შენს საზიზღარს გულზე?.. ნუ თუ ყოველივე... ყოველივე უნდა გაგეყიდნა მაგ მონის ალერსისათვის... იმის წყალობისათვის, ვინც შენის ქვეყნის სისხლი დალია?!! იცი-კი, რა მოიქმედე? ო, უკეთესია მოკვდებოდე და ამას-კი არ გაიგებდე! იცი, რა მოიქმედე? შენ დააბნელე მზე ამოსვლის წინად! შენ გაამეფე უკუმეთი ღამე შენს სამშობლო ქვეყანაში»! და ჩვენც ვეტყვით ბ. ავტორს: ირაკლის ჩვენის ისტორიისა არა სცხია რა, იგი «ჩვიდმეტი მეფის თაობას მოდგმისა» არაა, «იმის ძარღვებში წმიდა სისხლი» არ «სჩქეფს და არ ტრიალებს», «იგი ჩვენი სისხლისა» არაა (ფრჩხილებში ჩასმული სიტყვებით აუწერს ანანია ზეინაბს ერთ მოყვანილს, ცხენს და როგორც ლაპარაკიდგან სჩანს, იგულისხმებს ირაკლის).

ისეთის მხრით დაგვიხატა თ. სუმბათაშვილმა ირაკლი, რომ კარგს იზამდა იგი საქართველოს მემკვიდრეთ კი არა, ოთარბეგის მემკვიდრეთ გამოეყვანა. ამათში სულიერი ერთობა, გარდა სიმამაცისა რომელიც ირაკლის აკლია, დიდია. ამ მხრივ ირაკლი ღირსეული მემკვიდრეა ოთარისა; ამას ნათლად დავინახავდით, თუ ღალატი მიზანს მიახლწევდა. ირაკლიმ ისე დაიწყო, რომ ოთარს გადააჭარბებდა შემდეგში. თ. სუმბათაშვილს შეეშალა, ირაკლი ოთარის ხორციელ მემკვიდრეთ რომ არ გამოიყვანა.

ირაკლი სამშობლოს ღალატობს, მაგრამ მაინც მისის გულისათვის ბრძოლის ველზედ ამოსდის სული. რათა? იმიტომ რომ თავის საკუთარი ირაკლის არაფერი არა აქვს. იგი მოუფიქრებლად რასაც ჩასძახებენ, იმას სჩადის; ანანმია. სამშობლოს განსათავისუფლებლად მოუხმო და და ისიც დაჰყაბულდა. რუქაიამ მოინდომა, ირაკლის სამშობლოსთვის ეღალატნა და იგიც დასთანხმდა. დაბოლოს ზეინაბმა უთხრა: «დაიხსენი თავი სამშინელის სირცხვილისაგან! წადი, იქ შენთვის თავს სწირავენ. გასწირე შენც იმათთვის თავი. ნუღარ იცოცხლებ თავს! ნუღარ იცოცხლებ! ხალხი არ შეგინდობს, არ მოგიტევებს»... ირაკლიც წავიდა და თავი შესწირა!

მაგრამ ყოველი ზვარაკი და ძღვენი არ შეიწირების, ბ-ნო სუმბათაშვილო! ტყუილად მოჰკლა ბ. ავტორმა ბრძოლის ველზედ ირაკლი. ამით ირაკლის შეცოდებანი არ ეპატიევება. საღმრთო წერილი ამბობს: ყოველივე მიეტევების კაცს, გარდა

*) იხ. «ივერია», № 106.

მოვნო ტაროსი, რა თქმა უნდა, რომ მუშა ხელს შეაფერხებს და ისედაც დაბეჩავებულს ხალხს ზიანის მეტს, აბა, რას მისცემს?

თუმცა-და ხშირად გვესმის საქართველოს ყოველ კუთხიდან, ჩვენის გაზეთების შემწეობით, რომ სანოვაგე ერთობ გაძვირდაო და სხვა, მაგრამ, არა მგონია, ყოველ ნაირ საქონლის ასეთი სიძვირე სუფევდეს სადმე საქართველოში, როგორც ჭიათურაშია. არამც თუ საქართველოში, თვით მანჯურიაშიაც-კი, არ იქნება ასეთი სიძვირე. თუ წინად მუშა ადამიანს 20 კ. უნდებოდა დღიურ ხარჯად, დღეს 40—50 კ. ძლივს აკმაყოფილებს. ასეთი არა ჩვეულებრივი სიძვირე, რასაკვირველია, შორეულ აღმოსავლეთის ომიანობას უნდა მიეწეროს. თუ ასეთმა სიძვირემ გასტანა 7—8 თვე, თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ ბევრი ძალა-უნებურად აიკრავს აქედან გუდა-ნაბადს.

შავი-ქვის მუშაობამ თქვენი ჭირი წაიღო, რაც ჩვენთვისაც და მრავალ სხვისთვისაც მეტად და მეტად საზიანოა და თითქმის უბედურობაცაა. წინა წლებში თუ 100,000 ფუთობით ჩამოჰქონდათ მაღაროებიდან დღეში, ნაცვლად ამისა დღეს 20 ფუთიც ვერ ჩამოაქვთ.

ასეთს აუტანელ კრიზისის დროს ვაჭრებმაც ისარგებლეს რუსეთ-იაპონიის ომით და, ჩვენდა სანუგეშებლად, სხვა-და-სხვა საქონელსაც ფასი შეუფერებლად აუწიეს. მაგალითად, გირვანქა ხორცი წინად თუ 8 კ. ღირდა, დღეს 15—16 კაპეიკი ფასობს. ასევე მოუმატეს პურს, ღვინოს, ნავთს, ფართლეულობასაც. რა თქმა უნდა, მიხვდებით, თუ რა გასაჭირშიაც ვიქნებით ამ ჟამად ბეჩავი ჭიათურლები...

აგრეთვე არ შემიძლია არ აღვნიშნო აქაურ ყასბების თავ გასულობა: ყველამ იცის, რომ დასავლეთ საქართველოში—იმერეთში საზოგადოდ ღორის ჭირი მძვინვარებს. მაინც აქაური ყასბები სადღაც გამოსძებნიან ჭირით დავაადებულს ღორს, ჰკლავენ და ასაღებენ. ამას წინად ორი ადამიანი გახდა ავათ ღორის ხორცის ჭამით.

ღორის ჭირს ძაღლის ჭირიც მიემატა და მუსრს ავლებს აქაურს ძაღლებს. ჭირისაგან მკვდარ ღორის ლეშით გამაძღარს ძაღლს იგივე ჭირი უსპობს სიცოცხლეს და ასეთს შემთხვევას ადამიანებიც უნდა მოველოდეთ აქაურ ყასბების წყალობით, თუ დროზედ არ იქმნა ალაგმული მათი ასეთი თვითნებობა.

აქაური მომრიგებელი მოსამართლე ბ-ნი ივანოვი ქ. ტაშკენტში გადაუყვანიათ. მის მოადგილეთ მრავალს ასახელებენ და წილად რომელს არგუნებს ბედი ჭიათურაში სამსახურს, ჯერ არ ვიცით.

გ. ნანელი.

—

**დ. თიანეთი.** როგორც მოგეხსენებათ, ზამთარში ყველა ქვემძრომი სულდგმული იძინებს და აღარა ხარობს. ისე ჩვენმა ბიბლიოთეკამ, არამც თუ დაიძინა, არამედ, როგორც ეტყობა, საუკუნოდ მიიდრიკა თავი და განუტევა სული. თუმც ეს მეორე თვეა, რაც მზრუნველმა ადგილი უნაცვლა და უკეთეს ადგილას გადაიტანა, მაგრამ რა გამოვიდა. თუმცა ახალი ბიბლიოთეკარი ს. ხ—ი ბევრს ეცადა, რომ ბიბლიოთეკა ფეხზედ დაეყენებინა, გააკეთა სია წევრთა და შეუდგა ფულის შეგროვებას, მაგრამ ამაოდ. წევრნი გულ გრილად ეუბნებოდნენ: «ნეტავი შენა, რომ მაგის მეტი საქმე არა გაქვსო». ამისთანა გულ-შემატკივრების ხელში ბიბლიოთეკამ რა ხეირი უნდა ჰნახოს?! წელს ბიბლიოთეკას არც ერთი ჟურნალ-გაზეთი არ მოსდის. თუმცა შარშან წარმოდგენა გამართეს ბიბლიოთეკის სასარგებლოდ, მაგრამ სახელი ბიბლიოთეკისა იყო და სახრავი კი, ვინ იცის, ვისი. თეტრის ფულებმა ჩაილურის წყალი დალია. ერთი გულ-შემატკივარი არ არის, რომ ბიბლიოთეკაზედ თვალ-ყური ჰქონდეს. თიანელ ინტელიგენციას ისე აქვს ბიბლიოთეკაზედ გული აყრილი, როგორც ურიას ღორის ხორცზედ.

თიანეთში ამ ჟამად ორი მეფურნის დუქანია, მაგრამ, საუბედუროდ, ეს მეორე კვირაა, რაც მათ თონეში პური არ გამომცხვარა. ამის გამო თიანეთის დუქნებში ადამიანი პურს ვერ იშოვნის. თიანეთის ინტელიგენცია გლეხებისაგან-ღა სესხულობს გამომცხვარ პურს. მეპურეები ამის მიზეზს ტფილის-თიონეთის გზის შეკვრას აბრალებენ.

საჭიროა, რომ თიანეთის მოვაჭრეთა და მცხოვრებთა ეზოებს ყურადღება მიექცეს.

დათიკო გოგიაშვილი.

### სამეცნიერო წერილები.

ახლად აღმოჩენილი რადიის სხივები.

ამას წინად გაისმა ხმა, რომ პარიზში ცოლ-ქმარმა კიურიმ აღმოაჩინეს გასაოცარი თვისებანი რადიისა.

არ გასულა რამდენიმე თვე, რომ ამ ახალმა აღმოჩენამ მიიქცია საყოველთაო ყურადღება და ააღელვა მთელის ევროპის საზოგადოება.

მართლაც, ამ რადიის ისეთი საუცხოვო თვისებანი აქვს, რომ მოკლე ხანში ფრიად შესამჩნევი ცვლილება მოახდინა მთელ მეცნიერებაში; კაცობრიობას კი დიდი სარგებლობა მოელის.

ქიმიურად დაწმენდილი რადი წარმოადგენს მოთეთრო ნაფხვენს, რომელიც ძლიერ წააგავს ჩვეულებრივ მარილს. ეს ნაფხვენი უსათუოდ შუშაში უნდა ინახებოდეს. შუშა თავ-დაცობილია და ზედ ტყვიის ქაღალდი აქვს შემოხვეული.

რადიის ორი უმთავრესი თვისება აქვს: განუწყვეტლივ გამოაქვს სითბო და გამოაშუქებს სხივებს, რომლებიც თავისუფლად გადის გაუმჭვირვალ საგნებში. ამ სხივებს ისეთივე თვისებანი აქვს, როგორც რენტგენის უხილავ სხივებს. ტყვიის ქაღალდს კი სხივები ვერ გაატანს.

რომ მართლა რადის სითბო გამოაქვს, ამაში ჩვენ ადვილად შეგვიძლიან დავრწმუნდეთ: იმ შუშის სითბო, რომელშიაც რადიის ნაფხვენია, გარდამეტებით უფრო თბილია გარეშემო ჰაერზედ—თერმომეტრი 1,5°-ის განსხვავებას გვიჩვენებს ერთის საათის განმავლობაში რადიის ნაფხვენს შეუძლიან თავისი სითბოთი თავისივე სიმძიმის ყინული გაადნოს. რადის გამოაქვს სითბო, ხოლო არც სიმძიმე და არც რაოდენობა სრულებით არ აკლდება.

ეხლა შუშა რომ ბნელ ოთახში შევიტანოთ, დავინახავთ მთვარის შუქის მზგავს სინათლეს, რომელიც შუშიდგან გამოშუქს.

ეხლა იმის დასამტკიცებლად, რომ რადიის სხივები თავისუფლად გადის გაუმჭვირვალ საგნებში, დავხუჭოთ თვალები. ამ სხივების სინათლეს მაინც ვიგრძნობთ. ავიღოთ ეს შუშა რადიის ნაფხვენით, მივადოთ ადამიანს ან შუბლზედ ან კეფაზედ, სხივები მაინც გააღწევენ თავის ქალაში და ადამიანი იგრძნობს სხივების სინათლეს.

მრავალ გვარ ბრმაზედაც სცადეს რადიის სხივები და აღმოჩნდა, რომ ის ბრმა, რომელსაც შეუძლიან კიდეც გაარჩიოს ნათელი სიბნელისგან, მშვენივრად ჰხედავს რადიის სხივებს; მხოლოდ ის ბრმა ვერ ჰხედავს ამ სხივებს, რომელსაც თვალის ნერვი სრულებით მოშლილი და გადაგვარებული აქვს.

რადიის ნაფხვენი ფრიად იშვიათი ნივთიერებაა. მთელ დედა-მიწაზედ მხოლოდ ერთი სტოლის კოვზის ოდენი-ღა მოიპოვება. ეხლა, რასაკვირველია, შეუდგნენ მის შოვნას დედა-მიწიდგან და იმედი აქვთ, უფრო მეტს აღმოაჩენენ. არა ძვირ ფასი ქვა არ შეედრება რადის სიძვირეში. მაგრამ საკმარისია ორიოდე მარცვალი ჰქონდეს მეცნიერს ამ საკვირველ-მომქმედი ნივთიერებისა, რომ ყოველივე მისი თვისება სავსებით შეისწავლოს.

რადის შეუძლიან თავისი თვისებანი სხვასაც გადასცეს: საკმარისია ორის დღით ჩასდოთ შუშა, რომელშიც რადიის ნაფხვენი გვაქვს, მარილ წყალში, რომ ამ წყალმა მიიღოს რადიის თვისებანი, გამოაშუქებს ისეთსავე სხივებს, როგორც რადი. ეს წყალი, ამ სხივების გავლენით, შეიქმნება გამკურნავი მრავალ სხვა-და-სხვა ავადმყოფობისა. ასეთი წყალი საშინელი საწამლავია ყოველ გვარ ბაქტერიებისთვის; ამავე წყალში ისპობა ორგანიულ ნივთიერებათა გახრწნა.

ორი მარცვალიც რომ აიღოთ რადიის ფხვნილისა და მიადოთ ადამიანს კანზედ, რამდენისამე საათის შემდეგ კანის ანთება გაუჩნდება.

აი პროფესორს ბეკერელს რა მოუვიდა: ჯერ მაშინ არ იცოდნენ ყველა თვისებანი რადიისა, როდესაც ამ პროფესორმა ჟილეტის ჯიბეში ჩაიდო შუშა რადიის ფხვნილით და გაემგზავრა ინგლისს, სადაც ლექცია უნდა წაეკითხა ამ ნივთიერების შესახებ. გავიდა ორი კვირა და პროფესორმა შენიშნა სიწითლე კანისა გულზედ, სწორედ ჟილეტის ჯიბის პირდაპირა; შემდეგ ეს ადგილი დაუსივდა და გადაექცა იარათ, რომელსაც ორის თვის წამლობა მოუნდა.

დოქტორმა ლონდონმა რამდენიმე თვით თაგვი დაამწყვდია ყუთში; ამ ყუთის ფსკერზედ დასდო პაწაწინა კოლოფი, რომელშიაც ერთი ნამცეცა რადიის ფხვნილი ეყარა. რადიის სხივების გავლენით თაგვები მალე დაიხოცნენ, თუმცა შესაფერი საჭმელიცა ჰქონდათ და სასმელიც; ჯერ თაგვებს ბალანი დასცვივდათ, მერმე-კი კანის ანთება გაუჩნდათ.

რადიის სხივებს საუცხოვო გამკურნავი თვისება აქვთ. ამ მოკლე ხანში მრავალი ავად-მყოფი მორჩა და ამ გვარად ექიმებმა მოიპოვეთ ძლიერი წამალი სხვა-და-სხვა გვარ კანის ავად-მყოფობათა წინამდეგ. მალე რჩება ამ სხივებით lupus-ი კანის ჭლექი,—კუ და სხვა ამ გვარი ავად-მყოფობა. გამკურნავი ძალა ამ სხივებისა ის არის, რომ ეს სხივები ჰკლავენ ბაცილებს, რომლებმაც გამოიწვიეს ავადმყოფობა.

ზოგიერთმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ეს სხივები ჭლექიანსაც მოარჩენსო. მართლაც, ჭკუაზედ ახლოა; ეს სხივები ადვილად გააღწევენ გულის ბოყვს და პირდაპირ ფილტვებში შეაშუქებენ და დაჰხოცავენ იქ მყოფ ჭლექის ბაცილებს.

სამედიცინო ჟურნალში ამოვიკითხე, რომ ამ სხივებმა მოარჩინეს ერთი იარა კანისა, რომელმაც 10 წლის განმავლობაში ვერა წამალმა ვერ არგო.

დიდი გავლენა აქვს ამ სხივებს დაბალ სულიერ არსებათა განვითარებაზედაც, იმ კვერცხებიდგან, რომლებიც ამ სხივების გავლენის და მოქმედების ქვეშ იყო, გაჩნდნენ სულ სხვა რაღაც მახინჯი ცხოველნი, რომლებიც თავის სახით ძლიერ განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივ ნორმალურ ტიპისგან.

მეცნიერ ბონის აზრით, მერმისში ამ სხივების საშუალებით შეგვეძლება შევქმნათ ახალი სახენი მწერისა, პეპლისა, ფრინველებისა და თევზისა.

თვით გამკურნავი ძალა მინერალურ წყლებისა თურმე დამოკიდებული ყოფილა რადიის სხივებზე.

რადი დედა-მიწაში ქიმიურად შეერთებულია ბარისთან. ამბობენ რომ კარგა ბლომად შეგვიძლიან აღმოვაჩინოთ რადიის რაოდენობა დედა-მიწაში, თუ რიგიანად მოვძებნითო.

ვინ იცის კიდევ რამდენი აქამდინ აუხსნელი მოვლენა აიხსნას ამ საწაულ მომქმედის ძალით!

მართალს ამბობს დიდებული მეჩნიკოვი, რომ ბედნიერება ადამიანს მეცნიერებისაგან მოელისო!

ექიმა ბადრიძე.

## ნარევი

დღევანდელ რომანისტებ შორის არავინ არ იღებს თავის ნაწერებში იმოდენა სასყიდელს, რამდენიც ეძლევა რუდიარდ კიპლინგს. ამერიკის ჟურნალ-გაზეთების გამომცემელნი თითოეულ სიტყვაში სიამოვნებით აძლევენ კიპლინგს 5 დოლარს, ანუ 10 მანეთს. ბურებისა და ინგლისების ომი რომ იყო, მაშინ დაწერა კიპლინგმა პატრიოტული პოემა, რომელმაც ავტორს შესძინა 2 მილიონი მანეთი. ეს ფული ავტორმა შესწირა აფრიკაში მოკლულ მეომართა ქვრივსა და ობოლს.

კიპლინგი ძალიან უბრალოდ სცხოვრობს ერთ პატარა სოფელში, რომელიც ლონდონზე მოშორებით არის და ზღვას გადასცქერის. ერთად-ერთი გართობა იმისი მგზავრობაა. ყოველ წლივ მთელის თავის სახლობით კაპშტადს მიდის ხოლმე ზამთრობით.

— იაპონიაში კვირა დღე და უქმე არ იციან. იმათი უქმეებია მხოლოდ ის დრო, როდესაც რომელიმე ყვავილი დაიწყებს აყვავებას. მართლაც თებერვალში ჰყვავის იქ ქლიავი და ამის გამო ხალხი ჰმართავს დღესასწაულს. მარტში ჰყავის ატამი და კიდევ იმართება დღესასწაული, აპრილში—ალუბალი და ასე ამ გვარად.

— ლორდ კერზონი, ვიცე-კოროლი ინდოეთისა დიდი მოყვარულია თურმე დიდრაჯობისა და ისე სცხოვრობს ინდოეთში, როგორც მეფე. უყვარს აგრეთვე მოგზაურობა დიდის ამბითა და ამალით; ამალაში ჰყავს სხვათა შორის იქაურ რაჯების შვილები და უნცროსი ძმები. ხშირად ჰმართავს წვეულებას, ესრედ-წოდებულს დურბარებს და იწვევს ინდოეთის საპატიო საზოგადოების წარმომადგენელთ. კერზონი ამას წინად დიდის ამბით გაემგზავრა სპარსეთისკენ ზღვით. სპარსეთზედ მაინც თვალი ძრიელ უჭირავს კერზონს. ინდოეთის ვიცე-კოროლი, რომელიც განაგებს 300 მილიონ ხალხით დასახლებულ ქვეყანას, გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს არა მარტო ავღანისტანსა და ბელუჯისტანს, არამედ მთელ სპარსეთსაც, რომ არსაიდან ინდოეთს საფრთხე არა გაუტყდეს-რა.

მართალია, კერზონმა ნება მისცა რაჯებს მეტი საკუთარი ჯარი იყოლიონ, ვიდრე აქამდე ჰყავდათ, მაგრამ მაინც სრულიად გულ-დაჯერებულია, რომ რაჯები ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ არ წავლენ.

— დიდი ქონება დასტოვა გერმანელმა არტისტმა ქალმა ჟენნი გროსმა. ეს ქონება სულ ხელოვნების მსახურებით შეიძინა. შვენიერ საავარაკო სახლს გარდა, არტისტს ქალს დარჩა ნაღდი ფული 800,000 მარკამდე და კიდევ ძვირფასი ნივთეულობა 500,000 მარკისა.

---

სულის წმიდის გმობისაო. ამას ჩვენ დავუმატებთ: ყოველივე დანაშაული მიეტევების კაცს, გარდა სამშობლოს ღალატისა. და ირაკლიც მეფურ გვირგვინისათვის მომზადებულს შ[illegible] წმიდა[illegible]რავანდედით ვერ შეიმოსავს და სამშ[illegible]თვის თავ-დადებულთა გუნდში ვერ ჩაირიცხება მხოლოდ იმიტომ, რომ თავი მოიკლა. თვით უსუსური ბავშვი, ის ბავშვი, რომელიც მის, ირაკლის მაგიერ, სოლეიმანის ცხენმა ფეხით გასრისა, თავის პატარა ხელებით გამოსდევნის წმიდათა გუნდიდგან თ. სუმბათაშვილის ირაკლის!

აი ამისთანა მომქმედი პირები გამოიყვანა ავტორმა პიესაში და მათ მოახვია თავს სამშობლოს განთავისუფლება! თუ რამდენად შეეძლოთ ამ დიდის საგნის განხორციელება, თუმც განახორციელეს, როგორც პიესის ავტორს სურდა ეს ამ პირთ, და რამდენათ იყვნენ იგინი ზნეობრივად მომზადებულები ამ საგნისათვის, ვგონებ, ზემო ნათქვამიდგან დავინახეთ. ამით გავათავებთ პიესის მომქმედ პირებზედ ლაპარაკს და დანარჩენ პიესის მომქმედ პირთ არ შევეხებით. აქ ვიტყვით რამდენსამე სიტყვას თვითონ პიესის მნიშვნელობაზედ.

უმთავრესი მიზანი პიესის დაწერისა—ამბობს ავტორი—იყო, რომ «საქართველოს ერის ისტორიული ბედი თავის ტიპიურის თვისებით და ხასიათით რუსეთის საზოგადოებისათვის გამეცნო».

ასი წელიწადია საქართველო რუსეთს შეუერთდა. რუსეთის საზოგადოება კი ძალიან სუსტად იცნობს ამ ქვეყანას. ვისაც რუსეთში უმოგზაურია, უეჭველია იცის, რა შეხედულებისაა მომეტებული ნაწილი რუსისა ჩვენს ხალხზე. მათ ჩვენ ველურად და ყაჩაღებად ვყევართ წარსულში და აწმყოში დასახული. მაშასადამე, სასურველია რუსეთის საზოგადოებამ გაიცნოს დანამდვილებით, რა ხალხი შეეკედლა მას, რა პირნახულია ეს ხალხი, რას წარმოადგენს ამ ხალხის ისტორია, რით მოაქვს ამ ხალხის თავი! «ღალატის» ავტორმა მოინდომა ამ საგნისათვის ზეწარი აეხადნა და ქართველების წარსული «თავიანთი ტიპიურის თვისებებით და ხასიათით» გაეცნო რუსეთის საზოგადოებისათვის. ავტორმა მოჰკიდა ხელი დიდ-მნიშვნელოვან საგანს და თავს იდო ძნელი საქმე. ერის გაცნობა ადვილი საქმე არაა, რადგან, მინამ მას სხვას გააცნობდე, საჭიროა შენ თვითონ ზედ მიწევნით იცნობდე, რომ საზოგადოება მთელის ერის შესახებ შეცდომაში არ შეიყვანო, შენის ნაწერით ცრუ აზრი არ შეუდგინო ხალხს მთელ ერზედ!

ჩვენ არ ვიცნობთ პირადათ თ. სუმბათაშვილს, პიესის ავტორს და არც ის ვიცით, თუ როგორ აქვს საქართველოს ისტორია, ქვეყნის წარსულის «ტიპიური თვისებანი და ხასიათი» შესწავლილი. მაგრამ, როგორც პიესიდგან სჩანს, თ. სუმბათაშვილი ძალიან სუსტათ, ნაკლებათ უნდა იცნობდეს ჩვენს, და მაშასადამე, თავის ისტორიასაც, და აი ამისთანა პირმა მოინდომა გაეცნო რუსეთის საზოგადოებისათვის ჩვენი წარსული!

წადილი ავტორისა შესრულებულათ უნდა ჩათვალოს. მისმა პიესამ ხალხის ყურადღება მიიპყრო, პრესა აალაპარაკა. მაგრამ ჩვენ, ქართველებს, ჩვენს წარსულს აქედგან რა?! სრულიადაც არაფერი. პირიქით ვნება ეძლევა, რადგან ავტორმა საგნის უცოდინარობისა გამო ცუდის მხრივ გააცნო თავის ტიპებით გამოყვანილი ჩვენი წინაპრები.

[illegible] დიდის ალტაცებით მიეგება პიესას. რა მოეწონა რუსის საზოგადოებას პიესაში? საგნის სიახლე, ხელოვნურათ შემუშავება პიესისა... რუსის საზოგადოებას შეუძლიან დაკმაყოფილდეს პიესით. იგი საქართველოს წარსულს არ იცნობს და ბუნებრივი სურვილი კი აქვს ხალხის გაცნობისა. მას წყურვილს უკლავენ და ისიც კმაყოფილდება. რუსეთის საზოგადოება არ იცნობს ჩვენს წარსულს და, მაშასადამე, არც შეუძლიან თ. სუმბათაშვილს უკიჟინოს, აგრე ცუდის მხრივ სამშობლოს მხსნელები რად დაგვიხატეო. მინამ წინააღმდეგი არ დამტკიცდება, არ გამოაშკარავდება, ეს საზოგადოება ვალდებულია სიმართლეთ მიიჩნიოს ის, რაც სთქვა თ. სუმბათაშვილმა ჩვენს წარსულზედ და აკი კიდეც აჯილდოვებს და თანაგრძნობას უცხადებს ავტორს! მაგრამ ჩვენ, ჩვენ, ქართველები რაღამ აგვაპილპილა, რაღამ აღგვაგზნო?! ჩვენ ხომ ვიცით, ცოტათ თუ ბევრათ, ჩვენი წარსული და, მაშასადამე, უნდა შეგვემჩნია, რომ სიმართლეს მოკლებულია და მასში გამოყვანილი პირები თავიანთის საქციელით ჩვენს წარსულ ჩირქსა სცხებენ! განა ჩვენთვის მხოლოდ იმას, პიესაში სამშობლოს განთავისუფლებაზედ რომაა ლაპარაკი, უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა? «საქართველოს გაუმარჯოს», «ოდელია დელია საქართველო ჩვენია, ჩვენია»! ეს სიტყვები ხომ ყოველ დღე გვესმის ჩვენის ლხინიკო უქმაძეებისაგან. ნუ თუ მხოლოდ მგრძობიარე, მაგარ-მაგარ სიტყვებმა უნდა გაგვიტაცოს? მართალია, პიესის იდეიას დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის, რადგან აფიქრებს ქართველს თავის წარსულზედ და აწმყოზედ, მაგრამ, ამას გარდა, ჩემის აზრით, პიესის სხვა მხარესაც უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა; პიესის მოქმედ პირთ, რომელნიც ჩვენის წინაპრების ტიპებათ არიან დასახულნი, მათ ქცევას, ზნეობრივ ფიზიონომიას, ამ პირთა ნათესაობას ჩვენს წინაარებთან. ამას კი ვერ ვხედავთ პიესაში. ამ მხრივ იგი სიცრუეზეა აგებული და ამისათვის მინამ არსებობს საქართველოს ისტორია და ის მეცნიერებას არ გაუშავებია, მინამ არსებობს ფსიხოლოგია, ეტიკა, პოლიტიკა, «ღალატი» ქართველებისათვის არა სასიამოვნო ნაწარმოებათ უნდა ჩაითვალოს, რომელიც მის სალ თავმოყვარეობას შეურაცხჰყოფს! და როგორც ამასთანა ჩვენს ლიტერატურაში და ჩვენის თეატრის რეპერტუარში თვალ საჩინო ადგილს ვერ დაიკავებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ ეს ასე მოხდება. მართალია, პირველ და მეორე ქართულ წარმოდგენას პიესისას ქართველი საზოგადოება ბლომად დაესწრო, მრწამს ისიც, რომ რამდენსამე წარმოდგენას კიდევ ბლომათ დაესწრობა ხალხი, რადგან ყველა ცნობის მოყვარეობს თავის თვალით ნახოს სცენაზედ ის, რამაც ხალხი აალაპარაკა, მაგრამ, როცა კი ქართველი ხალხ პიესას კარგათ გაიცნობს, შეიგნებს რომ პიესის მოქმედი პირები საქართველოს ისტორიისთვის უცნობნი არიან და მათში შეცდომით ქართველი ტიპები არიან გამოყვანილები, ხალხი ბუნებრიულად თან და თან პიესას ზურგს შეაქცევს. თუმც ეს პიესა იდეიით დ. ერისთავის «სამშობლოს», ამ ქართველ ხალხის საყვარელ პიესას მოგვაგონებს, მაგრამ მის მაგიერობას ხალხს მაინც ვერ გაუწევს და ქართველ ხალხის საყვარელ პიესად ვერ გადიქცევა. მისი წარმოდგენა ქართულ სცენაზედ ჩვენს თეატრის კასას სრულის შემოსავლით ვერ აავსებს ხოლმე!

მ. ღიხელი.

## „ივერიის“ ფოსტა.

**ქ—ა. ო. ნ. ბ—ს.** ვსწუხვართ, რომ თქვენს თხოვნას ვერ შევასრულებთ. ნათარგმნი მასალა ისეც ბევრი გვაქვს რედაქციაში და ვერ ვბეჭდავთ. მოგვიტევეთ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 მაისი.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ-ადიუტანტს კურაპატკინის მის უდიდებულესობის სახელზედ 10 მაისით: «ჩვენმა მეცხრე ქმეათე მოწინავე ცხენოსანთა რაზმებმა აღმოაჩინეს, რომ იაპონელთა ჯარების დიდი ნაწილები მოდიან ხაიჩენს გზით დასავლეთისაკენ, 8 ვერსზე ფინ-ხუან-ჩენიდგან. 6 მაისს ყაზახთა ასეულების წინაალმდეგ, რომლებმაც სიმაღლეები დაიჭირეს მდინარე სეძიხოუს ნაპირებზე სოფელ პოუტეოხოსთან, 2 ვერსზე მდინარე დაიანხესა და სეძიხოს საფლების ზემოდ, ესე ექვს როტამდე და სამ ესკადრონამდე, სატევად წამოვიდა; სროლის დაწყებისათანავე იაპონელთა ცხენოსნებმა თავი შეაფარეს ქვეითა ჯარებსა, რომელნიც ვერ ბედავდნენ ხეობაში გადმოსვლას, შორიდამ ისროდა მხოლოდ და არ ენანებოდა ტყვია-წამალი; მხოლოდ მცირედმა ნაწილმა დააპირა მდინარეს გადასვლა, რომ ჩვენი მარცხენა ფთისთვის შემოეარნა, მაგრა გააქციეს ჩვენმა ყაზახებმა. საღამოზე იაპონელნი გაბრუნდნენ. ამ ბრძოლაში ჩვენ 10 ყაზახი დაგვიჭრეს, ჩვენი ზარალი ღამით 7—8 მაბსსი სით-ხუანჩინძოსთან, 20 ვერსზე დასავლეთით ლუანდიაოდან, ჯერ სწორედ არ არის გამორკვეული.

**კურსკი.** კურსკის გუბერნატორმა გორდეევმა კარის მინისტრისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო პროტოპოვიდან: ხელმწიფე იმპერატორმა გიბრძანათ თქვენ გადასცეთ ბელგრადის მცხოვრებთ, აგრეთვე მომასახლისებთან მოსულს გლეხებს წრფელი თვისი მადლობა მიღებისა და წესიერებისათვის მისი უდიდებულესობის მყოფობის დროს ბელგრადში. ბრძანა, მოსწავლენი სამ დღეს დათხოვნილ იქმნენ.

**ბლაგოვეშჩენსკი.** 10 მაისს ფოსტის გემით სრეტენსკს გაგზავნეს ზეიდან მოსული 43 იაპონელი; ორი იაპონელი ქალი ავამტყოფობისაგამო ქალაქში დასტოვეს, გაგზავნილი იქმნენ ნამესტნიკის განკარგულებათ 85 სახლობა დაბალ ჯარისკ აცთა ამურიის ოლქისა სამშოლოში თვითეულს მისცეს ათ-ათი მანეთი და გზა უხარჯოთ.

**ხარბინი.** 11 მაისს სამხრეთისაკენ გაიარა გზათა მინისტრმა. ხარბინში დარჩენილი ჩინელნი წყნარად მუშაობენ. იუწყებიან, კინჩჟოუსთან 3 მაისს შეტაკება იყო იაპონელებთან, რომელნიც ჩვენს ბატარიებს ესროლნენ ციხის ზარბაზნებიდან. 150 დაჭრილთაგან პორტ-არტურს გაგზავნეს 63; დანარჩენებზე არა ვიცით რა.—ათ თავისუფალ მხედართაგან, რომელთაც მოინდომოს პორტ-არტურიდან და დალნიდან მტრის ჯარის შორის გამოსვლა, ლიაოიანში მხოლოდ ხუთი მოვიდა, იმათში ჩინეთის რკინის გზის კანტორჩიკი მეგორასკი.

**არიოლი.** 11 მაისს არიოლზე პეტერბურგისაკენ გაიარა დიდმა მთავარმა სერგეი მიხაილის ძემ.

**ირკუტსკი.** 11 მაისს ბაიკალზე ყინული დაიძრა.

**სეული.** («რეიტ. საავ.»), აქ ამბობენ, ას ყაზახები, რომელნიც კამხინგთან ებრძოდნენ კორეველებს, წავიდნენ ჩანჯანისაკენ. გენზანის გუბერნატორი, რომ რუსების თავდასხმა შეაყენოს, გზავნის ჩრდილოეთისაკენ ჯარებსა, რომელთა რაოდენობა არ ვიცით. ეს ჯარები უთუოდ ხამხინგას გარნიზონი თუა.

**ნიუ-იორკი.** ხმები გავრცელდა, ვითომ იაპონელთ იერიში მიიტანეს პორტ-არტურზე, რაც უნაყოფოდ დარჩა, და დაჰკარგეს 15 ათასი კაცით.

**არიოლი.** 11 მაისს არიოლზე პეტერბურგისკენ გაირა დიდმა მთავარმა სერგი მიხეილისძემა.

**ირკუტსკი.** 11 მაასს ბაიკალზე ყინული დაიძრა.

**სეული.** («რეიტერის საავ.»). აქ ამბობენ, ის ყაზახები, რომლებიც კამხინგთან ებრძოდნენ კორეველებს, წავიდნენ ჩანჯინისაკენ. გენზანის გუბერნატორი, რომ რუსების თავდასხმა შეუყენოს, გზავნის ჩრდილოეთისაკენ ჯარებს, რომელთა რაოდენობა არ ვიცით. ეს ჯარები უთუოდ ხამხინგის გარნიზონი თუა.

**ნიუ-იორკი.** ხმები გავრცელდა, ვითომ იაპონელთ იერიში მიიტანეს პორტ-არტურზე, შებყრობილი სულ უნაყოფოდ დარჩა და დაჰკარგეს 15 ათასი კაცი.

12 მაისი.

**კრონშტადტი.** წავიდა ინგლისის გემი «კომროზი», რომელზედაც 4 შეპყრობილი აზიელი იმყოფება.

**პოლტავა.** შორეულ აღმოსავლეთს მიმავალი ჯარები ქალაქმა დიდებით გააცილა. ჯარის კაცებს მოედანზედ წვეულება გაუმართა ქალაქმა; გზის დასალოცი პარაკლისი ეპისკოპოსმა იოანემ გარდაიხადა გებერნატორისა, ადგილობრივ მოხელეთა და მრავალის ხალხის თანდასწრებით. საღამოთი აფიცრებისათვის მეჯლიში გამართეს. ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოს «ურას» ძახილით შეეგებნენ. მეჯლიშმა საუცხოვოდ ჩაიარა.

**ბუდაპეშტი** მუნირ-ფაშა მურანის ციხე დარბაზში წავიდა, სადაც მას თავადი ფერდინანდი ინახულებს. მუნირ-ფაშა თავადს სტამბოლში მისაწვევს სულთანის ბარათს გადასცემს.

**ბერლინი.** დაიწყო კონგრესსი, რომელმაც ხელოსანთა დამცველი უფლებანი უნდა შეიმუშავოს.

**ტოკიო.** ოფიციალური ცნობა. სამხედრო ხარჯის დასაფარავად იაპონიის მთავრობამ ასი მილიონი იენის ასიგნაციები გამოსცა. თებერვლისა, მაისისა და დასახელებული სესხი სულ ერთად 300 მილიონს იენს შეადგენს

**ბერლინი.** (საგანგებო ცნობა). იაპონიის პირველ მხედრობის მთავარ ბინიდგან აუწყებენ დეპეშით ლონდონში, რომ 2,000 რუსების ჯარის კაცი ფინხუანჩენიდგან დასავლეთით სდგას სუანჩაქოუში. შეჰნიშნეს, რომ ფინხუანჩენის სამხრეთით ხუთი მილის მანძილზედ იაპონიის პირველს მხედრობას ყაზახები უკანიდგან მოჰქცევიან, ასე რომ რუსები იაპონელების პირველსა და მეორე მხედრობის შუა გაჩენილან. ამის გამო მდგომარეობა პირველის მხედრობისა საშიში ხდება.

**ბერლინი.** (საგანგებო ცნობა). ნიუჩჟუანიდგან მიღებულის ცნობებით, იაპონიის პირველს მხედრობას უკან დაუხევნია და ფინხუანჩენში თურმე მაგრდება. გენერალი მიშჩენკო 400 ყაზახითურთ მტრის მოწინავე ცხენოსანს ჯარს ადევნებს თვალსა, მეორე მხედრობა ბიძივოსა და პულანდიანის სამხრეთით მიდის. აზრად აქვთ ცზიანჩჟოუს ხმელეთიდგანა და ზღვიდან ერთს დროს დაეცნენ. მესამე მხედრობას ხიროშიმოში ამზადებენ.

**კონსტანტინეპოლი.** გამოცხადებულ ბრძნებისა თანახმად, სასუნის ოლქიდგინ მხოვრებთა გადასახლებას შეუდგნენ. მცხოვრებთ მუშის მიდამოებში დაასახლებენ. ბრბოთა მეთაური ანდრანიკი სადღაც გაჰქრა.

**კონსტანტინეპოლი.** შვილი გარდაცვალებულის გაზი-ოსმან-ფაშისა, სიძე სულთანისა ქემალი-ფაშა 3 მაისს ილდიზის ზოგიერთა წარჩინებულებთან ერთად შეიპყრეს.

**ბერლინი.** (საკუთარის კორესპ.). დირექტორმა «ასსოსიეტედ პრესსი»-სამ სტონმა წარმოსთქვა ჩიკაგოში სიტყვა, რომელშიაც გამოსთქვა, პასუხის გება რუსეთ-იაპონიის ომისა ედება ინგლისის მწერლობასაო. სტონი ურჩევს უფრო მტკიცე ნეიტრალიტეტი დაიცვან რუსეთის შესახებ.

**ვაშინგტონი.** («რეიტერის სააგენტო»). ამერიკის საზღვაო აგენტებს ბრძანება მოუვიდათ წარმოადგინეთ მოხსენება, რა მოელის გემებს მანჯურიის ნაპირებში ჩაწყობილ ნაღმებისგანაო. აგენტების პასუხს წარუდგენენ უმთავრესს საზღვაო საბჭოს, რომელიც, თავის მხრივ, თავის მოსაზრებას პრეზიდენტს წარუდგენს. თუ საჭიროება მოითხოვს გამოელაპარაკებიან მებრძოლთ.

**მუკდენი.** (რეიტ. საავ.). იუწყებიან, ყაზახებმა გენერალ რენნენკამფის უფროსობით ტყვედ წაიყვანა იპონელთა ორი რაზმი, რომლებიც ბარგის ურმებს მოსდევდნენო.

**ფინხუანჩენი.** (რეიტ. საავ. ფინხუანჩენთან დეპეშა ხანდისხან არ მუშაობს, რადგანაც ღამით მავთულებს სჭრიან.

**ტოკიო.** (ვოლფ. საავ.). გენერალი კუროკი იუწყება, იაპონელთა ქვეითა რაზმს ბრძოლა ჰქონდა 8 მაისს მტრის ცხენოსან რაზმთან, 200 კაცისაგან შემდგართან, ხუანქენსიანის ჩრდილო-აღმოსავლეთათ.

**ნიუ-ჩუანი.** (რეიტ. საავ.). იაპონელების ცდა ხმელეთით პორტ-არტურის წინააღმდეგ უნაყოფოა. გენერლები სტესსელი და ფოკი ხელმარჯვედ და მედგრად ებრძვიან ზედ-მისეულ იაპონელთა, რომელნიც ერთობ გაბედვით მოქმედებენ. უკანასკნელ დღეებში რამდენიმე ასი იაპონელი მოჰკლეს.

**ჩიფუ.** (რეიტ. საავ.). პორტ-არტურიდან მიღებულ წერილებიდან სჩანს, რომ ყველა სამხედრო გემების შეკეთება გაუთავებიათ, გარდა «რეტვიზანისა», რომელიც ამ კვირია იქნება მზადა.

**სოფია.** (სპეციალური) მუნირ-ფაშა და ბოლგარიის მთავარი ერთმანერთს ვენაში შეხვდებიან. მუნირ-ფაშას მინდობილი აქვს, დაარწმუნოს მთავარი, ინახულოს სულთანი. ამბობენ, მთავარი დასთანხმდებაო. ლტოლვილთა დაბინავების შესახებ გაზეთებს მსჯელობა აქვთ, როგორც ამბობენ, ოსმალეთის კომისია ცუდად ეპყრობა იმ ლტოლვილთ, რომელნიც ჯუფთებთან ილებდნენ მონაწილეობას.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგნი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

11 მაისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . . | 94,50 |
| ბერლინში ,, . . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში . . ,, . . . . . . . | 37,65 |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | 6—$7^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . . | 91 ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . . | 88 ნის. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ მომგ. ბილ. 1864 წ. | 374 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . | 294 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | $260^1/_2$ ნის. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . . | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| $4^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა . . . . . . | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |


# განცხადებანი

## შავი ქვის მრეწველთა საბჭოსაგან

შავი ქვის მრეწველთა საბჭო ამით აცხადებს, რომ 18 მაისს 1904 წ. დილის 12 საათზედ, ქუთაისში დანიშნულია ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა:

1) საკალატოზო საქმე სამკურნალოს შენობაზედ ჭიათურაში—3646 მან. 80 კაპ.

2) სადურგლო საქმე სამკურნალოს შენობაში—7900 მან. და

3) ატამნარ-ჭალის გზის შეკეთება შავი ქვის მაღნებზედ—2117 მან.

ვისაც სურს ივაჭროს, უნდა წარმოადგინოს საბჭოს კასაში ვაჭრობის დაწყებამდე ბედ გადადებულ ფულის 5%-ი ნაღდ ფულად, ან მთავრობის მიერ უზრუნველ ფასიან ქაღალდებად. ვაჭრობა უნდა დამტკიცებულ იქმნას საბჭოს მიერ. ბე უბრუნდება იჯარადარს 6 თთვეს შემდეგ იმ დღიდან, რა დღესაც სამუშაო ჩაბარებული იქნება.

(2—6—2).

---

ჩვეულებრივი საზოგადო კრება ქუთაისის სამეურნეო საზოგადოება «კოლხიდა»-სი დანიშნულია 30 მაისს, საღამოს 7 საათ., ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების სადგომში.

**განსახილველი საგნები:**

1) განხილვა და დამტკიცება 1903 წ. ანგარიშისა.

2) მოხსენება: სარევიზიო კომისიისა 1903 წ. ანგარიშის გამო.

3) გამგეობისა ამხანაგობის აპერაციების შესახებ.

4) განხილვა და დამტკიცება ხარჯთაღრიცხვისა 1904 წლისათვის.

5) არჩევა გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

(1—6—1).

---



ამერიკის
**ავტომობილები**
ბენზინით მოძრავი
**ველოსიპედები**
ბენზინის მატორებით.
**Акц. Оᵥᵒ „ЭНФИЛЬДЪ“**
**МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА №9.**
СПБ. Морская, № 30.

(10—6—10).

---

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიური გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---

## გამგე კომიტეტი

ღარიბ მოწაფეთა დახმარებისათვის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა წლის მაისის ოცსა, ხუთშაბათს, საღამოს რვა საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის სადგომში დანიშნულია წლიური საზოგადო კრება საზოგადოების წევრთა

**განსახილველია:**

1) ანგარიში საზოგადოების 1903 წლის მოქმედებისა და გამგე კომიტეტის მოხსენება ამ ანგარიშის გამო.

2) საჯარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავალისა 1904 წლისთვის.

3) მოხსენება გამგე კომიტეტისა საზოგადოების ახალის სახლის ვერაზე აშენების შესახებ.

4) საპენსიო წესდება სათავად-აზნაურო სკოლის მოსამსახურე პირთათვის.

5) შევსება საზოგადოების წესდების §§ 4 და 18.

6) მოხსენება ახალის შტატების შესახებ სათავად-აზნაურო სკოლის მოსამსახურე პირთათვის.

7) მოხსენება გამგე კომიტეტისა სათავად-აზნაურო საქალო სკოლის შესახებ.

8) სხვადასხვა წვრილმანი საკითხი.

9) არჩევანი კომიტეტის ერთის წევრისა ნაცვლად გ. დ. ქურულისა, რომელმაც ვადის გასვლამდე თავი გაანება წევრობას.

(3—6—3)

---




**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**
**„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევის“**

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

---



როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



მეტად ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

**ბ. მ. მირიმანიანისა.**
**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**
**Б. М. МИРИМАНІАНЪ**
Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—24)

---

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**
въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა,
ფასი 70 კაპ.

(2—141—2).

---

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან.

—

თანახმად **უმაღლესად** დამტკიცებულ 25 მაისს 1895 წელს სახელმწიფო საბჭოს აზრისა იმის შესახებ, რომ დაუბრუნდეს ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელად მყოფთ თავიანთი შეტანილი ფული ამა ბანკის დასაარსებლად და ფინანსთა მინისტრის მიერ 8 მაისს, 1900 წელს დამტკიცებულ წესთა მე-7 მუხლის ძალით, ამით ცხადდება საყოველთაოდ, რომ ის, ვის ხელშიაც გადავიდა შესაბამის წარწერით თ-დ ქაიხოსრო დავითის ძის ავალიშვილის მიერ ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად შეტანილ ფულის კვიტანცია ას-ორმოცდა-ათი მანეთისა (150), მოვალეა წარმოუდგინოს იგი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ექვსის თვის განმავლობაში დღიდგან ამ განცხადების დაბეჭდისა. თუ ასე არ მოიქცა, სამუდამოდ დაეკარგება უფლება იმ ფულის მიღებისა და იგი ფული დაუბრუნდება ზემოხსენებულ თ-დ ავალიშვილს.

(3—6—3).


Дозволено цензурою Тифлисъ 12 мая 1904 г. Тип. Е. И Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи.